1963/3.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 34 (231) 12 დეკემბერი 1963 წელი

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

521. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავღანეთის ეკონომიკის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პერიოდში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე დადებული საბჭოთა კავშირ-ავღანეთის შეთანხმების ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

განყოფილება მეორე

522. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ფ. ს. პესტრაკის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

523. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. თ. პეტუხოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

524. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. დრუზინის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

525. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დრამატურგ რ. ფ. იშმურატოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

526. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკრაინის სსრ ტყე-ველისა და ტყედაბლობის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის, ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. ა. დანილენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

527. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ გ. ი. მაიბოროდას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

528. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ პ. ნ. ვორონკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

529. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაგადანის ოლქის ჩუკოტკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „კანჩალანსკის“ მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირ ამხ. ი. არენტოსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საბიუჯეტო კომისიებსა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში.
ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ვ. გ. სტებლიანკოს არჩევის შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

530. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის შესახებ.
531. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გარდაბნისა და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ დეპუტატებთან.
532. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ ზესტაფონისა და ზესტაფონის საწარმოო სამმართველოში შემავალი სოფლების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.
533. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
534. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

535. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
536. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
537. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივ კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

521 ავღანეთის ეკონომიკის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პერიოდში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე დადებული საბჭოთა კავშირ-ავღანეთის შეთანხმების ოქმის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ავღანეთის ეკონომიკის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პერიოდში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ავღანეთის სამეფო მთავრობას შორის 1961 წლის 16 ოქტომბერს დადებული შეთანხმების ოქმი, ხელმოწერილი ქაბულში 1963 წლის 25 ივლისს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 2 დეკემბერი.
№ 1936-VI.

განყოფილება მეორე

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

522 მწერალ ფ. ს. პესტრაკის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით მწერალი ფილიპე სიმონის ძე **პესტრაკი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 ნოემბერი.
№ 1918-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

523 ამხ. ბ. თ. პეტუხოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ კიროვის სასოფლო საოლქო კომიტეტის პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი მდივანი ამხ. ბორის თევდორეს ძე **პეტუხოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 29 ნოემბერი.
№ 1920-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

524 ამხ. ვ. პ. დრუზინის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ლიტერატურული კრიტიკოსი ვალერი პავლეს ძე **დრუზინი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 ნოემბერი.
№ 1925-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

525 დრამატურგ რ. ფ. იშმურატოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით დრამატურგი რიზა ფახრუტდინის ძე **იშმურატოვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 ნოემბერი.
№ 1926-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

526 უკრაინის სსრ ტყე-ველისა და ტყედაბლობის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის, ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. ა. დანილენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ზოოტექნიკური მეცნიერების დარგში დამსახურებისათვის და **დაბადების** სამოც წელთან დაკავშირებით უკრაინის სსრ ტყე-ველისა და ტყედაბლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის დირექტორი, ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იოსებ აბრამის ძე **დანილენკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 ნოემბერი.
№ 1927-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

527 კომპოზიტორ გ. ი. მაიბოროდას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი გიორგი ილარიონის ძე **მაიბოროდა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 ნოემბერი.
№ 1928-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

528 მწერალ პ. ნ. ვორონკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი პლატონ ნიკიტას ძე **ვორონკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 ნოემბერი.
№ 1929-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

529 მაგადანის ოლქის ჩუკოტკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „კანჩალანსკის“ მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირ ამხ. ი. არენტოსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მეირმეობაში მრავალი წლის მანძილზე მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისა და ოლქის მეირმეთა შორის მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში აქტიური მონაწილეობისათვის მაგადანის ოლქის ჩუკოტკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „კანჩალანსკის“ მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირს ამხ. ივანე **არენტოს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და უროს“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 2 დეკემბერი.
№ 1939-VI.

განკოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მუშის სიცოცხლის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 28 ნოემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი ვასილ ალექსის ძე **სოცკი** დააჯილდოვა მედლით **„მამაცობისათვის“**.

* *
*

მეირმეობის განვითარებაში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისა და ირმის სულადობის ზრდის შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 2 დეკემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მაგადანის ოლქის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების 54 მეირმე, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ჩუკოტკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მეირმეები — კოლმეურნეობა „უდარნიკის“ მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირი-მწყემსი ბ. გეუნკეუ; კოლმეურნეობა „ენმიტაგინოს“ მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირი-მწყემსი ინდივ-კერგინტო, კოლმეურნეობა „ვპერიოდის“ მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირი-მწყემსი კავრაკაი და საბჭოთა მეურნეობა „კანჩალანსკის“ დირექტორი პ. დ. მასლიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 8 კაცი. „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 14, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 14 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 14 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საბიუჯეტო კომისიებსა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიასთან დაკავშირებით პალატების საბიუჯეტო კომისიებმა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ დაიწყეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტისა და სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის, აგრეთვე 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარ განხილვა.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენლები, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

1963 წლის 22 ნოემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინეს მოხსენებები: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პ. ფ. ლომაკოსი — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. თ. გარბუზოვისა — სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სახალხო მეურნეობის გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების დაწვრილებით განსახილველად და მათზე დასკვნების მოსამზადებლად შეიქმნა ქვეკომისიები სახალხო მეურნეობის დარგებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა მიხედვით. ეს ქვეკომისიები განიხილავენ ანგარიშს სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ქვეკომისიებში განიხილავენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენელთა ინფორმაციებს მიმდინარე წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და 1964-1965 წლების საგეგმო და საბიუჯეტო დავალებათა პროექტების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ვ. ბ. სტეგლიანკოს არჩევის შესახებ

1963 წლის 24 ნოემბერს გაიმართა კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნები უკრაინის სსრ დონეცკის ოლქის ჩისტიაკოვოს № 479 საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭოს დეპუტატად ჩისტიაკოვოს № 479 ოლქისაგან არჩეულია ამხ. ვასილ გრიგოლის ძე **სტეგლიანკო**, ტრესტ „ჩისტიაკოვანტრაციტის" № „3-ბის" შახტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

530 ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ო. მ. ნორაკიას და გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ი. ნ. მუხიგულაშვილის მოხსენებები, აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები გარკვეულ მუშაობას ეწევიან არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობისა და მათ მიერ მართლწესრიგის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, ბავშვთა და მოზარდთა სამუშაოზე და სასწავლებლებში მოსაწყობად და მათი უფლებების დასაცავად.

მიმდინარე წლის ათი თვის მანძილზე ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ ბავშვთა და მოზარდთა აღმზრდელობით დაწესებულებებში გაგზავნა 9 ბავშვი, სამუშაოზე მოაწყო—10, მშობლებს პასუხისმგებლობით ჩააბარა—31. გორის რაიონში ამ კომისიამ განათლების განყოფილებასთან ერთად სკოლას დაუბრუნა 72 ბავშვი, ხოლო 10 გაგზავნა ბავშვთა დაწესებულებებში. კომისია აქტიურ მონაწილეობას იღებს აგრეთვე ბავშვთა გაშვილების და საშეურვეოდ გადაცემის საკითხის სწორად გადაწყვეტაში.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია ქ. ფოთში სათანადო კონტროლს უწევს ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებებს, სწავლობს მათ საქმიანობას და, როცა საჭიროა, საკითხს განსახილველად აყენებს აღმასკომის სხდომაზე; ულმობლად ამხილებს იმ მშობლებს, რომლებიც სწორად არ ეკიდებიან ბავშვთა წესიერად აღზრდის საქმეს.

ამასთან ერთად, აღნიშნულ კომისიებს თავიანთ მუშაობაში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები. ისინი ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან საქმეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლებად იყენებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მშობელთა კომიტეტებს, საბავშვო სახლების და სკოლა-ინტერნატების მზრუნველთა საბჭოებს და სხვა ორგანიზაციებს. მათ ჯერ კიდევ არ ჰყავთ გამოყოფილი საზოგადოებრივი ინსპექტორები.

კომისიები არ იჩენენ ინიციატივას იმ ბავშვების და მოზარდების გამოსავლინებლად, რომლებსაც ესაჭიროებათ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დახმარება, არ ჰყავთ აღრიცხული უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და სხვ. სუსტად მუშაობს ქ. ფოთის მილიციის განყოფილების ბავშვთა ოთახთან შექმნილი მშობელთა საბჭო. ბავშვთა ოთახში არ არის სისტემატური მორიგეობა, ყოველთვის როდი ატყობინებენ ბავშვთა უწესობის შესახებ სკოლებს ან იმ ორგანიზაციებს, სადაც მათი მშობლები მუშაობენ. ქ. ფოთის ბავშვთა მიმღებ-გამანაწილებელში ირღვევა ბავშვთა მოთავსებისათვის კანონით დადგენილი ვადები.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია გორის რაიონში არაღამაკმაყოფილებლად აწარმოებს პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ მუშაობას ბავშვთა უმეთვალყურეობის და მათ მიერ მართლწესრიგის დარღვევის ფაქტების აღსაკვეთად, არ სწავლობს მათ გამომწვევ მიზეზებს, სათანადო მუშაობას არ ეწევა იმ არასრულწლოვანთა შორის, რომლებიც დაბრუნდნენ საპატიმრო ადგილებიდან ან ბავშვთა დაწესებულებებიდან.

ყოველივე ამის შედეგად ქ. ფოთში და გორის რაიონში ჯერ კიდევ ბევრია არასრულწლოვანთა უზედამხედველობის და მათ მიერ დანაშაულობათა ჩადენის შემთხვევები.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები და განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ არ ატარებენ საკმაო ღონისძიებებს სკოლებში და ბავშვთა დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, არ იღებენ ყველა საჭირო ზომას საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განსახორციელებლად. ამის შედეგია, რომ გორის რაიონში სკოლა დატოვა 444 ბავშვმა, ხოლო ქ. ფოთში — 21-მა. მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა გორის რაიონში შეადგენს 1.747-ს, ქ. ფოთში — 569-ს.

სუსტ დახმარებასა და ზედამხედველობას უწევენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას გორის რაიონის პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოები. არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის შესახებ მათ არც ერთი მასალა არ გადაუციათ კომისიისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საკმარისად არ მიაჩნია ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების როლი არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის და მათ მიერ მართლწესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგჯერ თვით ეს აღმასკომები არღვევენ არასრულწლოვანთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეების კომისიის დებულების მოთხოვნებს. ამ კომისიების შემადგენლობა, როგორც ქ. ფოთში, ისე გორის რაიონში დამტკიცებული არ არის შესაბამისი საბჭოს სესიაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც:

ა) პერიოდულად მოისმინონ აღმასკომების სხდომებზე და საბჭოების სესიებზე არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის და მათ მიერ მართლწესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის საკითხი და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ანგარიში; აამაღლონ ამ კომისიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი არასრულწლოვანთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში, მიაღწიონ იმას, რომ ეს კომისიები თავიანთ მუშაობაში განუხრელად ხელმძღვანელობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 27 მარტს დამტკიცებული დებულებით;

ბ) გააუმჯობესონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობა, ქმედითი დახმარება გაუწიონ მათ იმ ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის, მათ მიერ მართლწესრიგის დარღვევის და დანაშაულებათა ჩადენის თავიდან აცილებას, ბავშვთა და მოზარდთა უფლებების დაცვას;

გ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კომისიებს იმ ბავშვთა და მოზარდთა გამოსავლინებლად, რომელთაც ესაჭიროებათ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დახმარება ანდა რომლებმაც სკოლა მიატოვეს და არ მუშაობენ, მიიღონ ყველა საჭირო ზომა სამუშაოზე მათ მოსაწყობად და სასწავლებლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სხვა აღმზრდელობით საბავშვო დაწესებულებებში გასაგზავნად. ფართოდ ჩააბან ამ საქმეში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მშობელთა კომიტეტები და მზრუნველთა საბჭოები, აგრეთვე სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებები;

დ) უზრუნველყონ საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებების საქმიანობისადმი. სისტემატურად შეისწავლონ მოზარდთა შრომის პირობები და გაუწიონ მათ ქმედითი დახმარება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილი) უზრუნველყოს სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმა სავალდებულო რვაწლიან სწავლებაში და იბრძოლოს იმისათვის, რომ აღკვეთოს სკოლებიდან მოსწავლეთა გასვლა; გააუმჯობესოს სკოლებში და ბავშვთა დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და დასახოს საჭირო ღონისძიებები აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად; მიიღოს ქმედითი ზომები იმ ბავშვების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლებლებში დასაბრუნებლად, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს სკოლასთან, არ დაუშვას მოსწავლეთა გარიცხვა ისე, თუ ეს შეთანხმებული არ იქნა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს შეისწავლონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში მოზარდთა შრომის პირობები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათ გასაუმჯობესებლად; მითითება მისცენ საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომ არ დაუშვან მოზარდთა სამუშაოდან გათავისუფლება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან შეუთანხმებლად, პასუხი მოსთხოვონ ხელმძღვანელებს, რომლებიც უარს ეუბნებიან მოზარდებს სამუშაოდ მიღებაზე.

4. საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. პ. ე. ბერძენიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ი. მაისურაძემ და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ამხ. ო. ა. ქავთარაძემ გააძლიერონ ბრძოლა არასრულწლოვახთა უმეთვალყურეობისა და მათ მიერ დახაშაულებათა ჩადენის წინააღმდეგ და თავიანთი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით აღმოუჩინონ სათანადო პრაქტიკული დახმარება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურ კომისიას (თავმჯდომარე ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილი) გაუმჯობესოს ხელმძღვანელობა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებისადმი.

6. საქართველოს სსრ პროკურატურის მოხსენებითი ბარათი არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის შესახებ დაეგზავნოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

7. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ეს დადგენილება, საქართველოს სსრ პროკურატურის მოხსენებითი ბარათი და მიიღონ ზომები არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის გასაუმჯობესებლად, არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის და მათ მიერ მართლწესრიგის დარღვევათა აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 29 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

531 გარდაბნისა და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ დეპუტატებთან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გარდაბნისა და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და ტყიბულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა დეპუტატებთან.

აღმასკომები საჭირო დახმარებას უწევენ დეპუტატებს ამომრჩევლებთან შეხვედრის ორგანიზაციაში, საცნობარო მასალით უზრუნველყოფასა და განაწესების შესრულებაში, სისტემატურად ახდენენ დეპუტატების მუშაობის გამოცდილების გახზოგადებას და პერიოდულად ატარებენ საინსტრუქტაჟო თათბირებს. დეპუტატები აქტიურად მონაწილეობენ სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა ამომრჩევლებამდე დაყვანაში. აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას უთმობენ დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების შესწავლასა და განხილვას.

აღმასკომების დახმარებით დეპუტატები სულ უფრო მეტად ზრუნავენ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დეპუტატებთან მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომი. იგი პერიოდულად ატარებს დეპუტატებთან საინსტრუქტაჟო თათბირებს მათი უფლება-მოვალეობის საკითხებზე და აცნობს ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებებს.

საქალაქო საბჭოს დეპუტატების უმრავლესობას უკვე ჩაბარებული აქვს ანგარიში ამომრჩევლებისათვის. ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარება კარგად არის დაყენებული აგრეთვე გარდაბნის რაიონულ საბჭოში. ტყიბულის საქალაქო საბჭოს დეპუტატ რ. მხეცაძის ინიციატივით და აღმასკომის დახმარებით ტყიბულში აიგო წყალსაქაჩი რეზერვუარი, რის შედეგადაც თბილისის ქუჩის მცხოვრებლები და მე-6 საშუალო სკოლა უზრუნველყოფილი არიან სასმელი წყლით. დეპუტატ პ. კაჭკაჭიშვილის ინიციატივით ტყიბულჰესის მუშათა დასახლებაში გაიხსნა სასადილო. ზესტაფონის რაიონული საბჭოს დეპუტატ ვ. ფანჩულიძის თაოსნობით კეთილმოწყობილ იქნა სოფელ ჩხარისა და სოფელ ძევრის დამაკავშირებელი სასოფლო გზა 2,5 კმ მანძილზე.

გარდაბნის რაისაბჭოს დეპუტატ ა. ვაშალომიძის ინიციატივას მხარი დაუჭირა რაიაღმასკომმა და ახლა სოფელ დიღომში მიმდინარეობს 10-12 კმ სიგრძის სარწყავი არხის მშენებლობა.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გარდაბნისა და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დეპუტატებთან მუშაობის საქმეში გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებები. დღიდან არჩევნებისა მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე ზესტაფონის რაიონული და ზოვრეთის სასოფლო საბჭოების არც ერთ დეპუტატს არ ჩაუბარებია ანგარიში ამომრჩევლებისათვის. ნაკლები ყურადღება ექცევა ამომრჩეველთა წინადადებების შესრულებას. ზესტაფონის რაისაბჭოს დეპუტატთა 80 წინადადებიდან შესრულებულია მხოლოდ 12. არ შესრულებულა დეპუტატების მიერ რაიაღმასკომში შეტანილი ისეთი წინადადებები, როგორიცაა: სოფელ ქვედა საქარისა და არგვეთის დამაკავშირებელი სასოფლო გზის შეკეთება, სოფელ შროშის მოსახლეობის სასმელი წყლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფა და სხვები. ეს მაშინ, როცა მათი მოგვარება ადვილად შეიძლებოდა, თუკი რაიაღმასკომი სათანადო ყურადღებით მოეკიდებოდა ამ წინადადებებს. ტყიბულის საქალაქო საბჭოს დეპუტატთა უმრავლესობა მონაწილეობას არ ღებულობს სესიებისა და აღმასკომებისათვის საკითხების მომზადებაში, მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შემოწმებაში. საქალაქო საბჭოს მეორე სესიაზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხის განხილვისას კამათში მონაწილეობა მიიღო სულ 5 ამხანაგმა, მათ შორის მხოლოდ 2 დეპუტატმა.

გარდაბნის რაიონული საბჭოს დეპუტატები სუსტად მონაწილეობენ მუდმივი კომისიების საქმიანობაში. დეპუტატთა მცირე ნაწილია ჩაბმული საკითხების შესწავლა-განხილვაში. არ ხდება დეპუტატთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება. გარდაბნისა და ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომებში მოწყობილი არ არის დეპუტატის ოთახი.

შემოწმებული რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს საანგარიშო პერიოდში არ განუხილავთ ქვემდგომი საბჭოების აღმასკომებში დეპუტატებთან მუშაობის საკითხი და დეპუტატების მიერ სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე შეტანილი საკითხების შესრულების მდგომარეობა.

ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომი სათანადოდ არ ეხმარება ხარისთვალის სადაბო საბჭოს, რის შედეგადაც სადაბო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობა და დეპუტატები ვერ ერკვევიან თავიანთ უფლება-მოვალეობაში. მთლიანად უმოქმედობენ სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიები. დღემდე არც ერთი დეპუტატი არ გამოსულა ანგარიშით ამომრჩეველთა წინაშე. აღმასკომში არ არის აღრიცხული ამომრჩეველთა და დეპუტატთა წინადადებები. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ არ არიან არჩეული პირველ სესიაზე შექმნილი მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები.

გარდაბნისა და ზესტაფონის რაიონების სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები არასისტემატურად ატარებენ დეპუტატების თათბირებს, არ აცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს, რის შედეგადაც ამ საბჭოების დეპუტატთა გარკვეულ ნაწილს ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია. ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომში არ არის აღრიცხული და განხილული ამომრჩეველთა განაწესები და წინადადებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს გარდაბნისა და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს გაატარონ ღონისძიებანი დეპუტატების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები დეპუტატების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაში აქტიურად მონაწილეობდეს ყველა დეპუტატი; ფართოდ ჩააბან ისინი დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებასა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში;

ბ) პერიოდულად მოაწყონ დეპუტატთა თათბირები, სემინარები, ლექციამოხსენებები მათი უფლება-მოვალეობის და საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე;

გ) მხარი დაუჭირონ დეპუტატთა შემოქმედებით ინიციატივას და განავითარონ იგი, დაეხმარონ მათ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებაში, პერიოდულად განიხილონ ამომრჩეველთა წინადადებების შესრულების მიმდინარეობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის;

დ) მტკიცედ დაიცვან კონსტიტუციის მოთხოვნა საბჭოების დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების შესახებ, უზრუნველყონ დეპუტატები საცნობარო მასალით, დახმარება გაუწიონ მათ საანგარიშო კრებების მოწყობისა და ამომრჩეველთა განაწესების აღრიცხვა-განხილვის საქმეში;

ე) გააუმჯობესონ დეპუტატთა მონაწილეობა მუდმივი კომისიების საქმიანობაში, მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები აქტიურად იყვნენ ჩაბმული სესიებისა და აღმასკომებისათვის საკითხების მომზადება-გახხილვაში და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში. დეპუტატების საშუალებით უზრუნველყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა ამომრჩევლებამდე დაყვანა, მშრომელთა განცხადებებისა და წერილების დროულად შენიწმება;

ვ) გამოცდილების განზოგადების მიზნით სისტემატურად გააშუქონ ადგილობრივი გაზეთებისა და რადიოს საშუალებით დეპუტატების მუშაობა, ფართოდ ჩააბან ამ საქმეში აღმასკომის მუშაკები, მუდმივი კომისიები და დეპუტატები;

ზ) პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ ქვემდგომ საბჭოებში დეპუტატების მუშაობის საკითხები, ჩაატარონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელთათვის თათბირები და საუბრები, უზრუნველყონ რაიონული და საქალაქო საბჭოების დეპუტატების კავშირის განმტკიცება ქვემდგომი საბჭოების დეპუტატებთან;

თ) გააძლიერონ საბჭოების დეპუტატების კავშირი თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. პერიოდულად მოაწყონ ძველი და ახალი მოწვევის საბჭოების დეპუტატების შეხვედრები საარჩევნო ოლქებში;

ი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გასული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნების ჩატარების წესს და მტკიცედ დაიცვან იგი;

კ) ზუსტად დაიცვან საბჭოების დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტის წესი, თვალყური ადევნონ ამ წესის შესრულებას მათ ტერიტორიაზე მდებარე წარმოება-დაწესებულებათა მიერ.

2. დაევალოს გარდაბნისა და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს რაც შეიძლება მალე მოაწყონ დეპუტატთა ოთხები, დააწესონ დეპუტატთა მორიგეობა და ამომრჩეველთა მიღება, ამასთან შემოიღონ ამომრჩეველთა წინადადებების აღრიცხვის ჟურნალი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წლის ბოლომდე უზრუნველყონ, რომ საბჭოების აღმას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომებმა და მუდმივმა კომისიებმა ანგარიში ჩააბარონ სესიებსა და მოსახლეობას, ხოლო დეპუტატებმა — ამომრჩევლებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 29 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

532 ქ. ზესტაფონისა და ზესტაფონის საწარმოო სამმართველოში შემავალი სოფლების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. მ. მამულაძის მოხსენება, აღნიშნავს, რომ ქ. ზესტაფონსა და ზესტაფონის საწარმოო სამმართველოში შემავალ სოფლებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

1963 წლის 9 თვის გეგმა ზესტაფონის რაიკავშირმა შეასრულა მხოლოდ 68,9 პროცენტით. რაიკავშირს დღემდე არ გაუხსნია საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი ღვანკითში, გოგნში, ხუნევში, ცხენთაროში, პირველ მაისში და სხვა სოფლებში.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. მიმდინარე წელს ბანკის მიერ გამოყოფილი 40 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 5 ათასი მანეთი.

დაუშვებლად ჭიანურდება № 1 აბანოს რეკონსტრუქცია და სამრეცხაოს მშენებლობა ქ. ზესტაფონში. ამასთან, ჩატარებული სამუშაოები უხარისხოა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე აბანო უვარგისია, რადგან იგი მარაგდება მდინარე ყვირილას ჭუჭყიანი წყლით. რაიონში მოქმედი 6 აბანოდან გასარემონტებელია 5. ინვენტარი ყველგან მოძველებულია და არასაკმარისი რაოდენობითაა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების 60-70 პროცენტი მოითხოვს კაპიტალურ რემონტს. ოთახების უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით სოფლად, შეუფერებელია მუშაობისათვის. დაბალია წარმოებისა და მომსახურების კულტურა. სახელოსნოებს არ გააჩნიათ საჭირო რაოდენობით ინვენტარი, თვალსაჩინო ადგილზე არ არის გამოკრული ამა თუ იმ სახის მომსახურების ნიხრი, არ არის საჩივრის წიგნები და არ ხდება ქვითრების სათანადო წესის მიხედვით შევსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებელია საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ცეკავშირის მიერ 1963 წელს გამოყოფილი არ არის საათების, კულტსაყოფაცხოვრებო და საოჯახო ნივთების შეკეთებისათვის საჭირო დამხმარე ნაწილები და მასალები, აბანო-საპარიკმახეროსათვის კი — საჭირო ინსტრუმენტები და მოწყობილობანი.

ცუდადაა დაყენებული სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების სპეციალიზაციისა და გამსხვილების საქმე. 104 სახელოსნოდან 57 ერთკაციანია. სუსტია საზოგადოებრივი კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობაზე, რის შედეგადაც სახელოსნოებში ადგილი აქვს დარღვევებს, როგორც მაგალითად, გაუფორმებლად სამუშაოების აღებას და ა. შ.

აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა სათანადო დასკვნები არ გააკეთეს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებიდან. აღმასკომები არ ახდენენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხების ღრმად შესწავლასა და განხილვას, მომსახურების ობიექტების ხელმძღვანელები იშვიათად გამოდიან ანგარიშით მომხმარებელთა წინაშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილების შესაბამისად გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსა და ცეკავშირთან ერთად:

ა) უმოკლეს დროში შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გასაფართოებლად, დაამთავრონ სახელოსნოების სპეციალიზაცია და გამსხვილება;

ბ) გააფართოონ გამსვლელი ბრიგადების მუშაობა საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა სამუშაოთა შესასრულებლად და 1964 წლიდან მოაწყონ საოჯახო საგნების გასაქირავებელი პუნქტები;

გ) ზუსტად დაიცვან დადგენილება კაპიტალური მშენებლობებიდან ბინების გამოყოფის შესახებ და უზრუნველყონ ქალაქისა და სოფლების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები შესაფერისი შენობებით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს უახლოეს დროში დაამთავროს ქ. ზესტაფონის № 1 აბანოს რეკონსტრუქცია და სამრეცხაოს მშენებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.დაევალოს ცეკავშირის გამგეობას განიხილოს ზესტაფონის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისათვის ფონდების გამოყოფის საკითხი და გაუწიოს მათ საჭირო დახმარება.

4. დაევალოს ზესტაფონის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს 1964 წლის მაისში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შეამოწმონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 29 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

533 ამხ. ბ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ბექან ვლადიმერის ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 2 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

534 ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. სიმონ სევერიანეს ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 2 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

535 საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწისა:

1. ალექსანდრე ალექსის ძე **ბალაევიჩს** — ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
2. მიხეილ იაგორის ძე **თიკანაძეს** — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.
3. ღიმიტრი მელიტონის ძე **იოსელიანს** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
4. ნიკოლოზ გიორგის ძე **მეიფარიანს** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
5. ლევან ვლადიმერის ძე **ჩხაიძეს** — ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმისა:

1. გიორგი იაგორის ძე **დოლიძეს** — ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს, ექიმს.
2. ვლადიმერ პავლეს ძე **ჯაველიძეს** — ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს, საექიმო კაბინეტის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 30 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

536 საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. გიორგი იოსების ძე **ბაბილოძე** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
2. შალვა ვასილის ძე **ელიაშვილი** — ინსტიტუტის განყოფილების უფროსი.
3. თამარ ივანეს ასული **კახიძე** — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

4. რევაზ სიმონის ძე **კერესელიძე** — ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსი.

5. შალვა სიმონის ძე **კილაძე** — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

6. სერგი იულონის ძე **კორძაია** — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

7. თეიმურაზ სოლომონის ძე **მაჩაბელი** — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

8. არჩილ სოლომონის ძე **მელია** — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის პროორექტორი.

9. გრიგოლ კაპიტონის ძე **მეუნარგია** — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლის უფროსი.

10. გიორგი იაკობის ძე **მღებრიშვილი** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის ყოფილი დეკანი.

11. სერგო პავლეს ძე **ნარიკაშვილი** — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის კათედრის პროფესორი.

12. აბო მიხეილის ძე **ნემსაძე** — ინსიტუტის ფაკულტეტის დეკანი.

13. გიორგი ბათლომეს ძე **ნიკოლაიშვილი** — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის კათედრის გამგე.

14. ვლადიმერ გიორგის ძე **ნორაკიძე** — ინსტიტუტის კათედრის პროფესორი.

15. ალექსანდრე ესტატეს ძე **რატია** — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

16. კონსტანტინე ბათლომეს ძე **რევია** — ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი.

17. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **სემიანიშინი** — ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსის მოადგილე.

18. ალექსანდრე გიორგის ძე **ფალავანდიშვილი** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ინსტიტუტის რექტორი.

19. ლევან გიორგის ძე **ფალავანდიშვილი** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

20. შალვა ალექსანდრეს ძე **ჩახნაშვილი** — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის კათედრის გამგე.

21. ავთანდილ ესტატეს ძე **ციბაძე** — ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი.

22. არჩილ ნიკოლოზის ძე **წერეთელი** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ინსტიტუტის კათედრის გამგე.

23. ვლადიმერ მალაქიას ძე **ჯაფარიძე** — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 30 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

537 **ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

რესპუბლიკის მრეწველობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. შალვა დავითის ძე **კიკნაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუიმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი. 1963 წლის 30 ნოემბერი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივ კომისიაში

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისიის სხდომა.

სხდომაზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ხვედელიანის** მოხსენებები: რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში ახალი ტექნიკის დანერგვის მდგომარეობის შესახებ და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის მდგომარეობის შესახებ ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში და ქ. ბათუმში.

პირველი მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრმა ამხ. **შ. ბეზარაშვილმა** და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკური სამმართველოს უფროსმა ამხ. **ა. განგიამ,** ხოლო მეორე მოხსენების გამო გამართულ კამათში — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამგზავრო გადაზიდვების განყოფილების უფროსმა ამხ. **ი. მგალობლიშვილმა,** თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს ექსპლუატაციის განყოფილების მთავარმა ინჟინერმა ამხ. **რ. ომაროვმა,** მუდმივი კომისიის წევრებმა ამხანაგებმა **შ. ბეზარაშვილმა, ვ. ღოღობერიძემ.**

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მკვეთრად გააკრიტიკეს რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმოს არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში.

აღინიშნა აგრეთვე თბილისის, ქუთაისის და ბათუმის საქალაქო საბჭოების ტრანსპორტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის დადგენილებით მასალები იმის შესახებ, თუ როგორ ინერგება ზოგიერთ საწარმოში ახალი ტექნიკა, გადაეგზავნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ხოლო მასალები საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის შესახებ — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განსახილველად და ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით საჭირო ზომების მისაღებად.